ბათუმის საქალაქო სასამართლო

საქმე №1-735/24

19 აგვისტო, 2024 წელი

საქართველოს შს სამინისტროს აჭარის ა/რ
პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის
რაიონულ სამმართველოს

გეგზავნებათ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 02 ივლისის განაჩენის ასლი და განკარგულება - მსჯავრდებულ **მაგული სანიკიძის** მიმართ, ნივთმტკიცებების ნაწილში შესასრულებლად.

დანართი: განაჩენის ასლი 1 ეგზემპლარად
განკარგულების ასლი 1 ეგზემპლარად

მოსამართლის თანაშემწე : ნინო კოღუაშვილი

მობ: 577-14-88-24
e-mail: nikoghuashvili@gmail.com
სამუშაო საათები – 10:00-დან 18:00-მდე

საქ. შს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის
ქობულეთის რაიონული სამმართველოს სამმართველოს ჯგუფი
შეავ. № 2550440 20.08.24
ტირაჟირებული 1 დანართი 11 ფურცელი

საქმე # 010100124009313112
საქმე №1-735/24

9797276744397
www.ecd.court.ge

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

2 ივლისი, 2024 წელი

ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე - თამარ ბეჟანიშვილმა
ნინო ფუტკარაძის სხდომის მდივნობით

პროკურორის – ხატია ჩხენკელის
ადვოკატის - ლია მაისურაძის

მონაწილეობით, **ბრალდებულის** მაგული **სანიკიძის** დასწრების გარეშე - ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის №172010424001 საქმე,

ბრალდებულ **მაგული** **სანიკიძის** **მიმართ**
მამის სახელი: ქესკინი
დაბადებული: 10.09.1951 წელი
პირადი ნომერი: 61004053501
მოქალაქეობა: საქართველოს
განათლება: საშუალო
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ნასამართლეობა: არმქონე
რეგისტრირებული მისამართზე: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლეღვა

კვალიფიკაცია:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილი - ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

<u>სასამართლომ დაადგინა:</u>

1. 2024 წლის 1 თებერვალს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში, მაგული სანიკიძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე, მაგული სანიკიძემ უკანონოდ გაჩეხა რვა ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხე, რითაც გარემოს მიადგა 3390 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

<u>ქმედების სამართლებრივი აღწერა :</u>

2. ბრალდებულმა თავი სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. **წინასასამართლო სხდომაზე** მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება, სადავო არაა და ორივე მხარე სრულად ეთანხმება აღნიშნული მტიცებულებებით დადგენილ და დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიჩნევა ნებისმიერი ფაქტი თუ გარემოება, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. გამომდინარე აქედან, ვინაიდან მხარეებმა არც ერთი მტკიცებულება სადავოდ არ მიიჩნეს, ისინი გამოკვლევის გარეშე მიღებული იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია.

4. სასამართლოს მიაჩნია, რომ **მაგული სანიკიძის** მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს **სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებული დანაშაულისთვის, გარდა ბრალდებულის აღიარებისა, დადასტურებულია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი

მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ **მის** ბრალეულობას, კერძოდ:

5. დაზარალებული ორგანიზაციის - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის - ქეთევან ჯორბენაძის ჩვენება, მოწმეების - მინდია აბაშიძის, ნიკა ბოლქვაძის, ჯემალ ტაკიძის, გია ბაუჟაძის ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; ბრალდებულ მაგული სანიკიძის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 19 თებერვლის გაანგარიშება გარემოსათვის მიყენებული ზიანის შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტი; ზედდება რეგისტრირებულ მონაცემებთან და ფოტოსურათები; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამმართველოს წერილები.

6. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმანეთთან შეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებების ერთობლიობით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბრალდებულმა **მაგული სანიკიძემ** უკანონოდ გაჩეხა რვა ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

7. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. **იგივეს მიუთითებს სსსკ-ის 82-ე მუხლის** მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

8. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

9. სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს სისხლის სამართლის საქმესთან რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამასთან, ფაქტების უტყუარად დადგენისათვის მტკიცებულებების საკმარისობის შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

10. სასამართლო განმარტავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას გულისხმობს, რომლებიც ნეიტრალურ და გონივრულად მოაზროვნე პირს დაარწმუნებენ პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა დამაჯერებლობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ ეჭვს ან ვარაუდს არ უნდა იწვევდეს ბრალდებულების მიმართ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადასტურებს გარკვეულ ფაქტებს და გარემოებებს, არ უნდა ბადებდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭქვეშ დააყენებს და გონივრულ კითხვებს გააჩენს ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ.

11. "ეს მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. მტკიცებულებების ამგვარი ტესტით შეფასების შემდეგ არის შესაძლებელი, სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს პირის ქმედებას და დაეკისროს პასუხისმგებლობა. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამორიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას" (განმარტება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს № 1/1/548 გადაწყვეტილებიდან).

12. ამასთან, **"ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის"** მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას მხოლოდ

უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე.

13. **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის უფლებაზე, მოახდინოს მტკიცებულების ავთენტიკურობისა და შინაარსის შედავება. ამის პარალელურად, სასამართლო განსაკუთრებით უსვამს ხაზს მტკიცებულების შინაარსობრივ ხარისხს და მის სანდოობას (როგორც სამართლიანი განხილვის კომპონენტს), რადგან თუკი ეს არ იქნება უზრუნველყოფილი, დაირღვევა სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც ევროპული კონვენციის პრეამბულაშია განმტკიცებული ძირითად ღირებულებად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, უნდა შემოწმდეს, კონკრეტულად მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა მოეხდინა მტკიცებულებათა ავთენტიკურობისა და მისი გამოყენების შედავების შანსი. დამატებით, მტკიცებულებათა ხარისხი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მათ შორის, ის გარემოებები, რომლებიც ქმნიან მისი სანდოობის და სიზუსტის ეჭვებს (**იარემენკო უკრაინის წინააღმდეგ (Yaremenko v. Ukraine), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 76**). ევროპული სასამართლოს მიდგომა კონკრეტული მტკიცებულების უარყოფის (ავთენტურობა/შინაარსი) თვალსაზრისით გამომდინარეობს სამართლიანი განხილვის უფლებიდან.

14. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და მხარეების მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებები, ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელია.

15. ბრალდების მხარის მტკიცებულებების შეფასების შედეგად არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც მათ სანდოობასა და სარწმუნოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდებოდა.

16. მოწმეთა ჩვენებები თანმიმდევრული და კონკრეტულია და აკმაყოფილებს სანდოობისა და სარწმუნოობის კრიტერიუმებს.

17. არ არსებობს მოწმეთა მიმართ უნდობლობის საფუძველი. თითოეული მოწმის მიერ საქმის გარემოებათა შესახებ მიცემული ინფორმაცია იძლევა სხვა მტკიცებულებებით გადამოწმების საშუალებას.

18. მოწმეთა ჩვენებები შეესაბამება და თანხვედრაშია წერილობით მტკიცებულებებში მითითებულ ინფორმაციასთან. სასამართლო უთითებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საკმარისია ფაქტების ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად მიჩნევისათვის.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, აფასებს საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით და ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულად მიაჩნია სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

<u>სამართლებრივი შეფასება:</u>

20. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ **მაგული სანიკიძემ** უკანონოდ გაჩეხა რვა ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია - შესაბამისად, ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **303-ე მუხლის პირველი ნაწილით.**

<u>**პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:**</u>

21. **მაგული სანიკიძეს** პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებება არ გააჩნია.

22. **მაგული სანიკიძეს** პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა დანაშაულის აღიარება და მონანიება, თანამშრომლობა გამოძიებასთან.

<u>**სასჯელის გამოყენების დასაბუთება :**</u>

23. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამდენად, განაჩენის სამართლიანობა უკავშირდება სწორედ სასჯელს.

24. სასამართლო ხაზს უსვამს სამართლიანი სასჯელის განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად, რათა გაცნობიერებული იქნეს დანაშაულის საფრთხე. სასჯელის სიმკაცრე ქმედების გასაკიცხაობას უნდა უტოლდებოდეს. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის პიროვნება და სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური და მას უნდა ჰქონდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი.

25. სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, ბრალეულის პიროვნებას. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს იმას, რომ სასჯელი უნდა დაინიშნოს დამნაშავის პიროვნების, ოჯახური და სოციალური მდგომარეობისა და დანაშაულის გარემოებათა გათვალისწინებით.

26. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

27. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

28. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რეალიზაციას, სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს, მთავარია არა ის, რომ დასაჯო მკაცრად, არამედ ის რომ დანაშაულის შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნების, მისი მიერ

ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების შესაბამისი.

29. **სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილი** სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას, ან გამასწორებელ სამუშაოს ერთ წლამდე ვადით, ანდა სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

30. სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ **მაგული სანიკიძეს**, <u>რომელიც აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, არასდროს ჰქონია კონფლიქტი კანონთან, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არის 73 წელს მიღწეული პენსიონერი</u> - უნდა დაენიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახე - **ჯარიმა 500 ლარის ოდენობით**, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

31. სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ სასჯელის აღნიშნული სახე და ზომა გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროება, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს **მაგული სანიკიძის** მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.

<u>ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა :</u>

32. **სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის თანახმად, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი** - მაგული სანიკიძის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ამოღებული 26 ცალი კრიპტომერიის ჯიშის ხის მორი – უნდა გადაეცეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 255, 258-260-ე, 269-ე, 270-276-ე, 277-ე, 280-ე, 292-293-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ბრალდებული **მაგული სანიკიძე** ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ **მაგული სანიკიძის** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდეს.

ნივთმტკიცება - მაგული სანიკიძის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ამოღებული 26 ცალი კრიპტომერიის ჯიშის ხის მორი – გადაეცეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე /ხელმოწერილია/ **თამარ ბეჟანიშვილი**

ასლი დედანთან სწორია
მოსამართლის თანაშემწე *ნინო კოლუაშვილი*

საქმე N1–735/24

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

2 ივლისი, 2024 წელი

ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლო
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 ივლისის განაჩენით, ბრალდებული **მაგული სანიკიძე** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ **მაგული სანიკიძის** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდა.

ნივთმტკიცება - მაგული სანიკიძის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ამოღებული 26 ცალი კრიპტომერიის ჯიშის ხის მორი – უნდა გადაეცეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

განაჩენის აღსრულება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს, ქობულეთის რაიონულ სამმართველოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

განაჩენი ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.
განაჩენის აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

მოსამართლე /ხელმოწერილია/ **თამარ ბეჟანიშვილი**

ასლი დედანთან სწორია
მოსამართლის თანაშემწე *ნინო ჯოღუაშვილი*